



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 155

2015 წლის 28 ოქტომბერი

ქ. თბილისი

**2015 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის
გამოცხადების შესახებ**

„ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის დავით ჩიჩუას სამსახურებრივი ბარათის (N1126223, 28.10.2015) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2015 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი;
2. დამტკიცდეს 2015 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „საპროექტო წინადადების“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს ახალგაზრდა მეცნიერის, მენტორისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს „პროექტის რეზიუმე“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს მენტორის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს 2015 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

11. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

12. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი



დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2015 წლის - 22-ოქტომბრის - 155 ბრძანებით

2015 წლის
ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი

პროგრამა და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების პროგრამა და პირობები არეგულირებს ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დასაფინანსებლად კონკურსის გამართვის, საგრანტო განაცხადის შეფასების, გრანტის გაცემისა და შესრულების ანგარიშგების მონიტორინგის საკითხებს.
2. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსება მოხდება კონკურსის მეშვეობით, რომლის მიზანია სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესება და ახალგაზრდა მეცნიერთა აკადემიურ საქმიანობაში ჩართულობა.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობა და კონკურსის პირობები

1. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების კონკურსში გრანტის მოპოვების მიზნით, პროექტი უნდა წარმოადგინოს ახალგაზრდა მეცნიერმა და მასპინძელმა დაწესებულებამ ერთობლივად.
 - ა) ახალგაზრდა მეცნიერი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც დოქტორის ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში და რომელიც მოამზადებს და განახორციელებს პროექტს.
 - ბ) პროექტის მასპინძელი დაწესებულება შეიძლება იყოს საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირი (სსიპ), კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი (ააიპ) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება და რომლის ბაზაზეც ახალგაზრდა მეცნიერი წარმართავს კვლევით და აკადემიურ საქმიანობას; სასურველია, მასპინძელ დაწესებულებას ჰქონდეს პროექტის სამეცნიერო მიმართულების შესაბამისი კვლევითი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო გამოცდილება.
2. კონკურსის მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერს უნდა ჰყავდეს მენტორი - მასპინძელი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელსაც უნდა ჰქონდეს პროექტის საკითხების შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. მენტორი დაეხმარება ახალგაზრდა მეცნიერს მასპინძელ დაწესებულებაში პროექტის განხორციელებაში. მენტორი უნდა იყოს დოქტორი, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, მისი საქმიანობა არ ანაზღაურდება ფონდის მიერ.

3. კონკურსის მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერს შეიძლება ჰყავდეს კონსულტანტი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერს გაუწევს სამეცნიერო კონსულტირებას კვლევის პროცესში. კონსულტანტი აგრეთვე უნდა იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი. სასურველია, რომ კონსულტანტი იყოს უცხოელი ან უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი.
4. პროექტი, შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია ჩართული იყოს დამხმარე პერსონალი (არაუმეტეს ორი): მასპინძელი დაწესებულების ლაბორანტი, მაგისტრი, ან/და დოქტორანტი.
5. დამხმარე პერსონალის წლიური ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 15%-ს.
6. ახალგაზრდა მეცნიერს კონკურსში გრანტის მიღება შეუძლია მაქსიმუმ ორჯერ.
7. წარდგენილი პროექტი კონკურსის ფარგლებში მიიღებს მონაწილეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანების დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით შედგენილი კლასიფიკატორის (ამ ბრძანების დანართი N9) შესაბამისად:

მიმართულება 1. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

მიმართულება 2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროსტატის (EUROSTAT) კლასიფიკაციით განსაზღვრული:

- 2.1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
 - 2.2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
 - 2.3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
 - 2.4. აგრარული მეცნიერებები;
 - 2.5. სოციალური მეცნიერებები;
 - 2.6. ჰუმანიტარული მეცნიერებები.
8. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მიეკუთვნება ამ მუხლის მე-7 პუნქტში განსაზღვრული კლასიფიკატორის მიხედვით პირველ მიმართულებას - „საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებს“ და განმცხადებელს სურს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში ამ მიმართულებაში, საპროექტო წინადადების შევსებისას, მან უნდა მიუთითოს პირველი მიმართულება („საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები“) და მეორე მიმართულების 6 სამეცნიერო მიმართულებაში (2.1 – 2.6) შემავალი არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 სამეცნიერო ქვემიმართულება (მაგ. 2.4.4 სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიები, 2.6.2 ენები და ლიტერატურა).
 9. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მიეკუთვნება ამ მუხლის მე-7 პუნქტში განსაზღვრული კლასიფიკატორის მიხედვით ევროსტატის კლასიფიკაციის შესაბამისად სამეცნიერო მიმართულებებიდან ერთ-ერთს (2.1-2.6), საპროექტო წინადადების შევსებისას განმცხადებელმა უნდა მიუთითოს შესაბამისი ქვემიმართულება (მაგ. 2.1.1. მათემატიკა). ინტერდისციპლინარული პროექტის შემთხვევაში, საპროექტო წინადადების შევსებისას შესაძლებელია არაუმეტეს 3 ქვემიმართულების მითითება; პირველი უნდა დასახელდეს ის ქვემიმართულება, რომელსაც ანიჭებს უპირატესობას პროექტის წარმდგენი.
 10. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
 11. პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 2 წელი.
 12. ახალგაზრდა მეცნიერმა 2 წლის განმავლობაში არანაკლებ 1760 საათი (თითოეულ

საანგარიშო პერიოდში - 6 თვის განმავლობაში არანაკლებ 440 საათი) უნდა დაუთმოს პროექტის განხორციელებას.

13. პროექტის განხორციელების აუცილებელი შედეგი უნდა იყოს პუბლიკაციის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში.

მუხლი 3. დაფინანსება

1. პროექტის დასაფინანსებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა შეფასებისას 40 ან მეტი ქულის მიღება.
2. ფონდის მიერ კონკურსისთვის გამოყოფილი თანხის 15 % განსაზღვრულია „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ მიმართულებაში დარეგისტრირებული გამარჯვებული პროექტებისთვის. საერთო ბიუჯეტის დარჩენილი 85% თანაბრად ნაწილდება ამ ბრძანების მეორე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი მეორე მიმართულებით განსაზღვრულ 6 სამეცნიერო მიმართულებაზე (2.1-2.6).
3. თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრული თანხიდან ნაშთის დარჩენის შემთხვევაში, ჯამური ნაშთი მოხმარდება დაფინანსების გარეშე დარჩენილ მიმართულებებს შორის უმაღლესქულიან პროექტებს, რომლებიც შეფასებისას მიიღებენ 40 ან მეტ ქულას.
4. ერთი საგრანტო პროექტისთვის წელიწადში ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს, ორ წელიწადში - 60 000 ლარს.
5. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:
 - ა) ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდიას (არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 15 000 ლარს);
 - ბ) კვლევითი საქმიანობის ხარჯებს (არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 13 500 ლარს), რომელიც შეიძლება მოიცავდეს:
 - ბ.ა) ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯებს;
 - ბ.ბ) დამხმარე პერსონალის ანაზღაურების ხარჯებს;
 - ბ.გ) საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯებს;
 - ბ.დ) პროფესიული ლიტერატურის შეძენის ხარჯებს;
 - ბ.ე) სამეცნიერო ღონისძიებისა (კონფერენცია, კონგრესი, ვორკშოპი, ტრენინგი და სხვა) და/ან კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯებს (რეგისტრაციის გადასახადს, საცხოვრებელ და დღიურ ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს);
 - ბ.ვ) პროფესიული ასოციაციის წევრობის ხარჯებს;
 - ბ.ზ) კომპიუტერული და კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯებს;
 - ბ.თ) კვლევის შედეგების პრეზენტაციის ხარჯებს;
 - გ) ზედნაღებ ხარჯებს (არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 1500 ლარს);
 - დ) პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სხვა ორგანიზაციის თანადაფინანსებას. თანადაფინანსების შემთხვევაში ახალგაზრდა მეცნიერმა უნდა წარმოადგინოს თანადაფინანსების არსებობის დამადასტურებელი წერილი.
6. გრანტის მოგების შემთხვევაში ახალგაზრდა მეცნიერს სტიპენდია ჩაერიცხება პირად ანგარიშზე.
7. გრანტის მოგების შემთხვევაში, მასპინძელი დაწესებულების მიზნობრივ ანგარიშზე ჩაირიცხება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებული თანხები.

- პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

- კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;
- პროექტების წარდგენა ფონდში ელექტრონული ფოსტით; ფონდის მიერ სარეგისტრაციო შიფრის მინიჭება ელ.ფოსტით მიღებული პროექტებისთვის და მინიჭებული შიფრის გაგზავნა ელ.ფოსტით პროექტის თითოეული წარმდგენისთვის. კონკურსში მონაწილეთა განცხადებების დარეგისტრირება ფონდის კანცელარიაში;
- რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენა;
- პროექტების შეფასება კომისიის მიერ;
- კომისიის შეფასების საფუძველზე გამარჯვებული პროექტების გამოვლენა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცება;
- საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება;
- ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც შეიცავს არასრულ ან ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 5. პროექტის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი

კონკურსში მონაწილეობისთვის ახალგაზრდა მეცნიერმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- „საპროექტო წინადადების“ (ამ ბრძანების დანართი 2) შევსებული ფორმა;
- პროექტის ბიუჯეტი და განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ამ ბრძანების დანართი 3; 3.1.);
- ახალგაზრდა მეცნიერის, მენტორისა და კონსულტანტის¹ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბიოგრაფიული მონაცემები (CV) (ამ ბრძანების დანართი 4);
- პროექტის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (ამ ბრძანების დანართი 5);
- მენტორის თანხმობის წერილი (ამ ბრძანების დანართი 6);
- კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი (ამ ბრძანების დანართი 7). იმ შემთხვევაში, თუ კონსულტანტი უცხოეთის მოქალაქეა, წერილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და აუცილებელია, წარმოდგენილ იქნეს თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული შესაბამისი ქართული თარგმანი;
- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (ამ ბრძანების დანართი 8), მინიჭებული სარეგისტრაციო შიფრის მითითებით;
- უსდ-ს ან სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი ახალგაზრდა მეცნიერის მიერ პროექტის მიზნებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უსასყიდლოდ გამოყენების შესახებ (არ მოიაზრება მასპინძელი დაწესებულება);
- ახალგაზრდა მეცნიერის პირადობის მოწმობის ასლი;
- ახალგაზრდა მეცნიერის დოქტორის დიპლომის ასლი. უცხოეთში მიღებული დიპლომის ასლს თან უნდა ერთვოდეს ცნობა დიპლომის აღიარების შესახებ გაცემული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;
- გრანტის მიმღები ახალგაზრდა მეცნიერის პირადი საბანკო ანგარიში და მასპინძელი დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები (საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში სახაზინო კოდი, ხოლო კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული)

¹ თუ კონსულტანტი საქართველოს მოქალაქეა, მაშინ CV ივსება ქართულ ენაზე, ხოლო თუ - უცხო ქვეყნის, მაშინ CV ივსება ინგლისურ ენაზე და წარმოდგენილი უნდა იყოს ქართული თარგმანიც.

- იურიდიული პირი (ააიპ) და ავტორიზებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში ორგანიზაციის მიერ გახსნილი საბანკო ანგარიშის ნომერი);
12. მასპინძელი დაწესებულების სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და წესდება. აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომელთა სამართლებრივი ფორმა სსიპ-ია;
 13. ცნობა თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ² უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული;
 14. მენტორის ცნობა სამსახურიდან აკადემიური ხარისხის მითითებით (გაცემული მასპინძელი დაწესებულების მიერ);
 15. კონსულტანტის ცნობა სამსახურიდან აკადემიური ხარისხის მითითებით (გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების მიერ; ცნობის წარდგენის ვალდებულება ეხსნება იმ კონსულტანტს, რომელიც არის უცხოელი მოქალაქე და აღნიშნული ინფორმაცია იძებნება მის მიერ მითითებული ორგანიზაციის (უნივერსიტეტის/ინსტიტუტის და ა.შ ოფიციალურ ვებგვერდზე).

მუხლი 6. პროექტის რეგისტრაცია

1. გრანტის მაძიებელმა ახალგაზრდა მეცნიერმა კონკურსში პროექტის დასარეგისტრირებლად წარმოსადგენი დოკუმენტები უნდა გააფორმოს რეგისტრაციის ინსტრუქციის მიხედვით და გამოგზავნოს ელექტრონულ ფოსტით შემდეგ მისამართზე: ys2015@rustaveli.org.ge 2015 წლის 18 ნოემბრის 17:00 სთ-მდე.
2. კონკურსის ელ. ფოსტაზე მიღებულ თითოეულ პროექტს ფონდის მიერ მიენიჭება სარეგისტრაციო შიფრი და გაეგზავნება ელ.ფოსტით პროექტის წარმდგენს.
3. გრანტის მაძიებელმა უნდა შეავსოს „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“, (სათანადო ადგილას მიუთითოს ელ.ფოსტით მიღებული, პროექტისათვის მინიჭებული სარეგისტრაციო შიფრი) დაამოწმოს იგი შესაბამისი ხელმოწერებით და წარადგინოს ფონდის კანცელარიაში არაუგვიანეს 2015 წლის 20 ნოემბრის 17:00 სთ-სა.
4. კონკურსის პირობებით დადგენილი ვადის დარღვევის, ან მოთხოვნილი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პროექტები არ განიხილება.
5. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 7. პროექტების შეფასება და გამარჯვებულების გამოვლენა

1. პროექტებს აფასებს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია. კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს ფონდის გენერალური დირექტორი.
2. კომისია პროექტებს აფასებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანების მე-11 მუხლით გათვალისწინებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
3. კომისიის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ პროექტებს ამტკიცებს ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას კონკურსში გამარჯვებული პროექტის წარმდგენ ახალგაზრდა მეცნიერთან და მასპინძელ

² უცხოური რეგისტრირებული ორგანიზაციის შემთხვევაში ცნობა უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული შესაბამისი თარგმანით.

დაწესებულებასთან, რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები.

2. საგრანტო ხელშეკრულება პროექტის განხორციელების სხვა პირობებთან ერთად ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებით სარგებლობას გრანტის მიმღებსა და გრანტის გამცემს შორის ქვეყანაში მოქმედი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში ფონდის მხრიდან ხდება პირველი ტრანშის ჩარიცხვა.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი პროექტის დასრულების შემდგომ ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
2. ფინანსური მონიტორინგის დროს ფონდი: ა) ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული ხარჯების საგრანტო ხელშეკრულებასთან შესაბამისობის შემოწმებას ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე; ბ) ეყრდნობა მასპინძელი დაწესებულების მიერ წარდგენილი კვლევითი გრანტის ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს დედანის, ფოტოასლების, ან ელექტრონული (დასკანირებული) სახით.
3. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:
 - ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;
 - ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას;
 - გ) ნაშთად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლებელია დაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდში;
 - დ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებული რესურსის, გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს.
4. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
 - ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან;
 - ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანების მე-16 მუხლის შესაბამისად.

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტების კონკურსი

საპროექტო წინადადება¹

ახალგაზრდა მეცნიერის სახელი, გვარი	ქართულად	
	ინგლისურად	
პროექტის სახელწოდება	ქართულად	
	ინგლისურად	
მიმართულების ან/და ქვემიმართულების კოდი(ები) და დასახელება(ები), რომელშიც წარმოდგენილია პროექტი (გთხოვთ, იხელმძღვანელოთ დანართი 1-ის მე-2 მუხლის 7, 8 და 9 პუნქტების მიხედვით)		1.
		2.
		3.
პროექტის საკვანძო სიტყვები	ქართულად	
	ინგლისურად	
მასპინძელი ორგანიზაციის დასახელება		
მენტორის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია	ქართულად	
	ინგლისურად	
კონსულტანტის (ასეთის არსებობის შეთხვევაში) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია	ქართულად	
	ინგლისურად	
პროექტის ბიუჯეტი (ლარი)	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	
	თანადაფინანსება	
	სულ	
პროექტის ვადები	დასაწყისი	
	დასასრული	

¹ დოკუმენტი უნდა შედგეს Sylfaen ფონტის გამოყენებით, შრიფტის ზომა - 11, მწკრივებს შორის ინტერვალი - 1.15.

1. კვლევითი თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება

(პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა; რატომ არის ეს პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; მეცნიერული სიახლის აღწერა. არაუმეტეს 1000 სიტყვისა)

2. კვლევის მიზნები და ამოცანები

(აღწერეთ: კვლევის ობიექტი; კვლევის სტრატეგია; პროექტის მიზნები, ქვემიზნები და შესაბამისი შესასრულებელი ამოცანები. არაუმეტეს 600 სიტყვისა)

3. კვლევის მეთოდოლოგია

(აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების შესრულების მეთოდები და საშუალებები/გზები, მათი დასაბუთება; პროექტის ამოცანების რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები და მათი გადაწყვეტის მეთოდები. არაუმეტეს 500 სიტყვისა)

4. კვლევის მოსალოდნელი შედეგები და სამეცნიერო ღირებულება

(აღწერეთ: რა სამეცნიერო პროდუქტი იქნება მიღებული კვლევითი პროექტის განხორციელების შედეგად (მაგ. სამეცნიერო პუბლიკაცია, პატენტი და სხვ.). აგრეთვე, აღწერეთ პროექტის დასრულების შედეგად მოსალოდნელი ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მნიშვნელობა, კვლევის შედეგების გამოყენების პერსპექტივები სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით და სხვ. არაუმეტეს 400 სიტყვისა)

5. პროექტის ეტაპები და განხორციელების გზები

(აღწერეთ ამოცანების შესრულებისათვის საჭირო აქტივობები შესაბამისი ეტაპებისა და პერიოდების მითითებით. ეს პუნქტი შესაბამისობაში უნდა იყოს დანართი 3.1.-თან (კვლევის გეგმა-გრაფიკი; არაუმეტეს 500 სიტყვისა)

6. პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო რესურსების (ვადები, ფინანსები, მასპინძელი დაწესებულება, ადამიანური და მატერიალური რესურსები) შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან

(აღწერეთ მასპინძელი დაწესებულების ჩართულობა და პასუხისმგებლობა კვლევითი პროექტის განხორციელებაში; მასპინძელი დაწესებულების პროფილის შესაბამისობა დასახული ამოცანების გადაწყვეტაში; დაასაბუთეთ კვლევის განხორციელებისათვის მოთხოვნილი მატერიალური რესურსების გამოყენება პროექტის მიზნების შესასრულებლად (გეგმა გრაფიკის შესაბამისად); ასევე, ადამიანური რესურსების ჩართულობა პროექტის ამოცანების შესრულებაში; არაუმეტეს 300 სიტყვისა)

7. კვლევის შედეგების გავრცელების (დისემინაციის) გეგმა

(აღწერეთ, თუ როგორ აპირებთ კვლევის შედეგების გავრცელებას სამეცნიერო/აკადემიურ საზოგადოებაში - ლექცია, სემინარი, საკონფერენციო თეზისი, პუბლიკაცია და სხვა; არაუმეტეს 250 სიტყვისა)

8. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის ხარისხი

(აღწერეთ პროექტში ჩართული უცხოელი თუ ადგილობრივი აკადემიური/სამეცნიერო თანამშრომლობის ხარისხი; სხვა; არაუმეტეს 250 სიტყვისა)

9. დამხმარე პერსონალი

(საჭიროების შემთხვევაში, დაასაბუთეთ დამხმარე პერსონალის მონაწილეობის აუცილებლობა პროექტში და აღწერეთ მისი ფუნქციები და ჩართულობის ინტენსივობა; სხვა; არაუმეტეს 200 სიტყვისა)

პროექტის ბიუჯეტი (ივსება ფონდიდან მოთხოვნილ თანხაზე)

N	ხარჯვითი კატეგორია	I ტრანში (I საანგარიშო პერიოდი)	II ტრანში (II საანგარიშო პერიოდი)	III ტრანში (III საანგარიშო პერიოდი)	IV ტრანში (IV საანგარიშო პერიოდი)	ფონდიდან მოთხოვნილი ჯამური თანხა
1	ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდია					0
2	კვლევითი საქმიანობის ხარჯები	0	0	0	0	0
2.1	ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯები					0
2.2	დამხმარე პერსონალის ანაზღაურების ხარჯები;					0
2.3	საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯები;					0
2.4	პროფესიული ლიტერატურის შეძენის ხარჯები;					0
2.5	სამეცნიერო ღონისძიებისა (კონფერენცია, კონგრესი, ვორკშოპი, ტრენინგი და სხვა) და/ან კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯები (რეგისტრაციის გადასახადს, საცხოვრებელ და დღიურ ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯს);					0
2.6	პროფესიული ასოციაციის წევრობის ხარჯები;					0
2.7	კომპიუტერული და კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯი;					0
2.8	კვლევის შედეგების პრეზენტაციის ხარჯი;					0
3	ზედნადები ხარჯი					0
ჯამი		0	0	0	0	0

შენიშვნა:

1. ერთი საგრანტო პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება წლიურად არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს;
2. ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდია არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 15 000 ლარს;
3. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 15%-ს;
4. კვლევითი საქმიანობა, რომლის დაფინანსების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 13 500 ლარს;
5. ზედნადები ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 1500 ლარს;
6. აუცილებელია პროექტის ბიუჯეტის 2.7 მუხლის ფარგლებში შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალის შევსება.

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი
 I საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ თარიღები)**

N	ამოცანის დასახელება	გახორციელების სამუშაოების აღწერა	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	შედეგის ამსახველი მასალა*** (deliverable)
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							

II საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ თარიღები)

N	ამოცანის დასახელება	გახორციელების სამუშაოების აღწერა	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	შედეგის ამსახველი მასალა*** (deliverable)
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							

III საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ თარიღები)

N	ამოცანის დასახელება	გასახორციელების სამუშაოების აღწერა	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	შედეგის ამსახველი მასალა*** (deliverable)
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							

IV საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ თარიღები)

N	ამოცანის დასახელება	გასახორციელების სამუშაოების აღწერა	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	შედეგის ამსახველი მასალა*** (deliverable)
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							

შენიშვნები გეგმა-გრაფიკის შეესაბამებულ დაგეგმვებში:

- * პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 2 წელი, 1 პერიოდი მოიცავს 6 თვეს
- ** ახალგაზრდა მეცნიერმა წლიურად პროექტზე მუშაობას უნდა დაუთმოს 880 სამუშაო საათისა, თითო საანგარიშო პერიოდში - არანაკლებ 440 სამუშაო საათისა.
- *** გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული აქტივობის განხორციელების ამსახველი მასალა და შესაბამისი შედეგი (მაგ. ფოტო-მასალა, ექსპედიციის ანგარიში, სტატიის სამუშაო ვერსია და სხვ.) საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ, ან დააკელით სტრუქტურები.

დამტკიცებულია
 სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
 გენერალური დირექტორის 2015 წლის 28 ოქტომბრის № 153 ბრძანებით

ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

ახალგაზრდა მეცნიერის, მენტორისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ტელეფონი	სახელი, გვარი	პირადობის ნომერი
ელ.ფოსტა		დაბადების თარიღი (დ/თ/წ)
ვებგვერდი		

პოზიცია/მოვალეობა პროექტში

სამეცნიერო ინტერესთა სფერო

1. განათლება

№	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	აკადემიური ხარისხი	სპეციალობა
1				
2				
3				
4				
5				

2. სამუშაო გამოცდილება

№	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტი/განყოფილება	ორგანიზაცია
1				
2				
3				
4				
5				

3. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (უკანასკნელი 5 პროექტი)

№	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი
1				
2				
3				
4				
5				

4. პროექტის თემატიკის შესახებ მისი პუბლიკაციების ჩამონათვალი (მაქსიმუმ 5)

№	პუბლიკაციის სათაური	ქურნალის სახელი, ტომი, ნომერი (წელი): გვერდები ან წიგნის / მონოგრაფიის სათაური, რედაქცია, გამომცემლობა, ქალქი, წელი
1		
2		
3		
4		
5		

5. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში / კონფერენციებში მონაწილეობა (უკანასკნელი 5 ღონისძიება)

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ადგილი	მოხსენების სათაური
1				
2				
3				
4				
5				

6. დაპატენტებული გამოგონებების ჩამონათვალი (მაქსიმუმ 5)

№	თარიღი	გამოგონების სახელწოდება	პატენტის მიმნიჭებელი ორგანიზაცია, ქვეყანა
1			
2			
3			
4			
5			

7. ენები

მშობლიური ენა _____

№	უცხო ენები	საშუალოდ (A1,A2)	კარგად (B1,B2)	თავისუფლად (C1,C2)
1				
2				
3				

CURRICULUM VITAE
Young scientist, Mentor, Advisor (if available)

	First name, Surname	ID number
Telephone		
e-mail		
Webpage		Date of Birth (D/M/Y)

Position/responsibility in the project

Research Interests

1. Education

№	Years	Name of University/Institute, Country	Academic Degree	Major / Specialty
1				
2				
3				
4				
5				

2. Work Experience

№	Years	Position	Department / Unit	Organization
1				
2				
3				
4				
5				

3. Participation in Research Grant Projects (last 5 projects)

№	Years	Position / Responsibility	Project Title	Donor Organization
1				
2				
3				
4				
5				

4. List of Publications Relevant to the project (max. 5)

№	Publication Title	Journal Title, Series Volume Issue (Year Published): Page(s) “, Book / Monograph Edition #, Series Publisher, Year Published
1		
2		
3		
4		
5		

5. Participation in International Forums/Conferences (last 5 events)

№	Year	Event title	Venue	Presentation title
1				
2				
3				
4				
5				

6. List of Patented Inventions (max. 5)

№	Publication Date	Title of Invention	Patent-granting Organization, Country
1			
2			
3			
4			
5			

7. Languages

Mother Tongue _____

№	Foreign Languages	(A1,A2) Basic User	(B1,B2) Independent User	(C1,C2) Proficient User
1				
2				
3				

დანართი №5

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2015 წლის 28 ოქტომბრის № 155 ბრძანებით

პროექტის სათაური:

პროექტის წარმდგენი ახალგაზრდა მეცნიერი:

პროექტის რეზიუმე
(რეკომენდებულია 200 სიტყვამდე)

Project Title:

Young Scientist:

PROJECT SUMMARY
(Recommended up to 200 words)

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2015 წლის 28 ოქტომბრის № 22 ბრძანებით

ახალგაზრდა მეცნიერის საგრანტო პროექტის მენტორის თანხმობის წერილი
(ივსება მ ე ნ ტ ო რ ი ს მ ი ე რ ; მენტორის ხელმოწერა სავალდებულოა)

ახალგაზრდა მეცნიერის პირადი მონაცემები:

სახელი, გვარი	
საგრანტო პროექტის სათაური	

მენტორის პირადი მონაცემები:

სახელი, გვარი	
თანამდებობა/აკადემიური თანამდებობა (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი, დეპარტამენტი)	
აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი	
საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა)	

- რამდენი წელი/თვე იცნობთ ახალგაზრდა მეცნიერს და რა პროფესიული ურთიერთობა გაკავშირებთ მასთან

--

- გთხოვთ, შეაფასოთ ახალგაზრდა მეცნიერის პროფესიული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო პრობლემატიკაში ორიენტირების უნარის, მიზანდასახულობის, პასუხისმგებლობის, მოქნილი აზროვნების, კომუნიკაბელობისა და/ან სხვ. თვისებების მიხედვით

--

- გთხოვთ, დაასაბუთოთ განსახორციელებელი კვლევის აქტუალობა

- სურვილის შემთხვევაში, მიუთითეთ დამატებითი ინფორმაცია

- თანხმობას ვაცხადებ ზემოხსენებული ახალგაზრდა მეცნიერის პროექტის განხორციელებისათვის შევასრულო მენტორის ფუნქცია.

მენტორის ხელმოწერა:

თარიღი:

Consent Letter of the Young Scientist's Mentor

(To be filled in by the young scientist's Mentor; the Mentor's signature is mandatory)

Personal data of the Young Scientist:

Name, Surname	
Project Title	

Mentor's Personal data:

Name, Surname	
Position/Academic Position (Higher Educational Institution, Faculty, Department)	
Academic/Research Degree	
Contact Information (phone, fax, E-mail)	

- **How long and in what capacity have you known the young scientist?**

- **Please, evaluate the young scientist according to professional skills, good orientation in research field, purposefulness, responsibility, creative thinking, interpersonal skills and/or other characteristics**

- **Please, clarify topicality of the research**

- **Additional relevant information**

- **I confirm to be a mentor of young scientist during his/her project implementation**

Signature of the Mentor:

Date:

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2015 წლის 28 ოქტომბრის №~~57~~ ბრძანებით

ახალგაზრდა მეცნიერის კონსულტანტის თანხმობის წერილი
(ივსება კონსულტანტის მიერ; კონსულტანტის ხელმოწერა სავალდებულოა)

ახალგაზრდა მეცნიერის პირადი მონაცემები:

სახელი, გვარი	
პროექტის სათაური	

კონსულტანტის პირადი მონაცემები:

სახელი, გვარი	
თანამდებობა/აკადემიური თანამდებობა (უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი, დეპარტამენტი)	
აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი	
საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა)	

სურვილის შემთხვევაში მიუთითეთ დამატებითი ინფორმაცია:

--

- თანხმობას ვაცხადებ ზემოხსენებული ახალგაზრდა მეცნიერის კონსულტირებაზე პროექტის განხორციელების პერიოდში.

კონსულტანტის ხელმოწერა:

თარიღი:

Consent Letter Young Scientist's Advisor

(To be filled in by the Young Scientist's Advisor; the Advisor's signature is mandatory)

Personal data of the Young Scientist:

Name, Surname	
Project Title	

Personal data of the Advisor:

Name, Surname	
Position/Academic Position (Higher Educational Institution, Faculty, Department)	
Academic/Research Degree	
Contact Information (phone, fax, E-mail)	

Additional relevant information

--

- I confirm to advise the Young Scientist during project implementation

Signature of the Young Scientist's Advisor:

Date:

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2015 წლის 28 ოქტომბრის №153 ბრძანებით

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტის 2015 წლის კონკურსში მონაწილეობის შესახებ
განცხადება

წარმოგიდგენთ ინფორმაციას პროგრამაში მონაწილეობის შესახებ და ვადასტურებ, რომ გავეცანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის №135/ნ ბრძანებასა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის -- ოქტომბრის №--- ბრძანებას სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების 2015 წლის კონკურსის გამოცხადებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ. ხელმოწერით ვაცხადებ თანხმობას აღნიშნული პროგრამის პირობებზე. ასევე, ვადასტურებ, რომ ფონდში ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვაცნობიერებ, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას განაცხადი კონკურსში მონაწილეობიდან.

1. პროექტის შიფრი (ელ.ფოსტით მიღებული):
2. განმცხადებლის/ახალგაზრდა მეცნიერის სახელი, გვარი:
3. პროექტის სათაური:
4. კვლევის მიმართულების ან/და ქვემიმართულების კოდი და დასახელება (არაუმეტეს 3):
 - 1.
 - 2.
 - 3.
5. ახალგაზრდა მეცნიერის მენტორის სახელი, გვარი:
6. ახალგაზრდა მეცნიერის კონსულტანტის სახელი, გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
7. მასპინძელი დაწესებულება:
8. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი (ლარი):
9. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი):
10. თანადაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ლარი):
11. პროექტის ხანგრძლივობა:

ახალგაზრდა მეცნიერის ხელმოწერა

მასპინძელი დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა

ბ. ა.

თარიღი:

2015 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი	
კოდი	სამეცნიერო მიმართულება
	სამეცნიერო ქვემიმართულება
1	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი
	განმარტებითი შენიშვნები: ყველა სამეცნიერო ქვემიმართულება, რომელიც მოიცავს კვლევებს საქართველოს შესახებ (ქართველოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები, ისტორია, სოციოლოგია, ეთნოლოგია, გეოგრაფია, ენა, ლიტერატურა, რელიგია, კულტურის კვლევები და სხვა)
2	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროსტატის (EUROSTAT) კლასიფიკაციით განსაზღვრული:
2.1.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
2.1.1.	მათემატიკა
	განმარტებითი შენიშვნები: წმინდა მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა; სტატისტიკა და ალბათობა. ამ უკანასკნელში შედის კვლევის სტატისტიკური მეთოდოლოგიები, მაგრამ არ შედის კვლევები გამოყენებით სტატისტიკაში, რომელნიც შეტანილი უნდა იქნეს შესაბამის სფეროში (მაგალითად, ეკონომიკა, სოციოლოგია, და ა.შ.)
2.1.2.	კომპიუტერული და საინფორმაციო მეცნიერებანი
	განმარტებითი შენიშვნები: კომპიუტერული მეცნიერებანი, საინფორმაციო მეცნიერება და ბიონფორმატიკა (ტექნიკურ-აპარატურული უზრუნველყოფის შემუშავება შედის 2.2-ში, სოციალური ასპექტი 5.8-ში)
2.1.3.	ფიზიკური მეცნიერებანი
	განმარტებითი შენიშვნები: ატომური, მოლეკულური და ქიმიური ფიზიკა (ატომებისა და მოლეკულების ფიზიკა, შეჯახებისა და გამოსხივებასთან ურთიერთქმედების ჩათვლით; მაგნიტური რეზონანსები; მესბაუერის ეფექტი (იგივე ბირთვული გამა-რეზონანსი); კონდენსირებული გარემოს ფიზიკა (რაშიც ადრე შედიოდა მყარი სხეულის ფიზიკა, ზეგამტარობა); ელემენტარული ნაწილაკების და ველების ფიზიკა; ბირთვული ფიზიკა; სითხე-აირებისა და პლაზმის ფიზიკა (ზედაპირის მოვლენათა ფიზიკის ჩათვლით); ოპტიკა (ლაზერული და კვანტური ოპტიკის ჩათვლით); აკუსტიკა; ასტრონომია (ასტროფიზიკის, კოსმოსის მეცნიერების ჩათვლით)
2.1.4.	ქიმიური მეცნიერებანი
	განმარტებითი შენიშვნები: ორგანული ქიმია; არაორგანული და ბირთვული ქიმია; ფიზიკური ქიმია, პოლიმერების შემსწავლელი მეცნიერება, ელექტროქიმია (მშრალი ბატარეები, აკუმულიატორები, სათბობი ელემენტები, კოროზიული ლითონები, ელექტროლიზი); კოლოიდური ქიმია; ანალიზური ქიმია
2.1.5.	დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი

	<p>განმარტებითი შენიშვნები: გეომეცნიერებანი, მრავალდარგობრივი დისციპლინები; მინერალოგია; . პალეონტოლოგია; გეოქიმია და გეოფიზიკა; ფიზიკური გეოგრაფია; გეოლოგია; ვულკანოლოგია; გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი (სოციალური ასპექტები შედის 5.7-ში);</p> <p>-მეტეოროლოგია და ატმოსფერული მეცნიერებები; კლიმატოლოგია;</p> <p>-ოკეანოგრაფია, ჰიდროლოგია, წყლის რესურსები</p>
2.1.6.	ბიოლოგიური მეცნიერებები
	<p>განმარტებითი შენიშვნები: უჯრედული ბიოლოგია, მიკრობიოლოგია; ვირუსოლოგია; ბიოქიმია და მოლეკულური ბიოლოგია; ბიოქიმიური კვლევის მეთოდები; მიკოლოგია; ბიოფიზიკა</p> <p>გენეტიკა და მემკვიდრეობითობა (სამედიცინო გენეტიკა შედის 3-ში); რეპროდუქციული ბიოლოგია (სამედიცინო ასპექტები შედის 3-ში); განვითარების ბიოლოგია;</p> <p>-მემცენარეობა, ბოტანიკა;</p> <p>-ზოოლოგია, ორნითოლოგია, ენტომოლოგია, ქვევით მეცნიერებათა ბიოლოგია;</p> <p>-ზღვის ბიოლოგია, მტკნარი წყლის ბიოლოგია, ლიმნოლოგია; ეკოლოგია;</p> <p>ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია</p> <p>- ბიოლოგია (თეორიული, მათემატიკური, თერმული, კრიობიოლოგია, ბიოლოგიური რითმი), ევოლუციური ბიოლოგია; ბიოლოგიის სხვა დარგები</p>
2.1.7.	სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
2.2	ინჟინერია და ტექნოლოგიები
2.2.1.	სამოქალაქო ინჟინერია
	<p>განმარტებითი შენიშვნები: სამოქალაქო ინჟინერია; არქიტექტურული ინჟინერია; სამშენებლო ინჟინერია, მუნიციპალური და სტრუქტურული ინჟინერია; სატრანსპორტო ინჟინერია</p>
2.2.2.	ელექტროინჟინერია, ელექტრონული ინჟინერია, საინფორმაციო ინჟინერია
	<p>განმარტებითი შენიშვნები: ელექტრო და ელექტრონული ინჟინერია; რობოტექნიკა და ავტომატური მართვა; ავტომატიზაცია და მართვის სისტემები; საკომუნიკაციო ინჟინერია და სისტემები; ტელეკომუნიკაციები; კომპიუტერის აპარატურული უზრუნველყოფა და კომპიუტერული არქიტექტურა</p>
2.2.3.	მექანიკური ინჟინერია
	<p>განმარტებითი შენიშვნები: - მექანიკური ინჟინერია; გამოყენებითი მექანიკა; თერმოდინამიკა;</p> <p>- საავიაციო ინჟინერია;</p> <p>- ბირთვულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინჟინერია (შედის ბირთვული ფიზიკა 1.3-ში);</p> <p>-აუდიო ინჟინერია, საიმედოობის ანალიზი</p>
2.2.4.	ქიმიური ტექნოლოგია
	<p>განმარტებითი შენიშვნები: ქიმიური ინჟინერია (წარმოება, პროდუქცია); ქიმიური პროცესების ტექნოლოგია</p>

2.2.5.	მასალათა ტექნოლოგია
	განმარტებითი შენიშვნები: მასალათა ტექნოლოგია; კერამიკა; დაფარვა და დასაფერი გარსები; კომპოზიტები (ლამინატების, არმირებული პლასტიკატების, ლითონკერამიკის, კომბინირებული ბუნებრივი და სინთეზური ბოჭკოს ქსოვილების შევსებული კომპოზიტების ჩათვლით); ქაღალდი და ხის მასალა; საფეიქრო ქსოვილები/ნაკეთობანი; სინთეზური საღებავების, ბოჭკოების ჩათვლით; (ნაწომასალები შედის 2.10-ში; ბიომასალები 2.9-ში)
2.2.6.	სამედიცინო ტექნოლოგია
	განმარტებითი შენიშვნები: - სამედიცინო ტექნოლოგია; სამედიცინო ლაბორატორიული ტექნოლოგია (ლაბორატორიული ნიმუშების ანალიზის, დიაგნოსტიკური ტექნოლოგიების ჩათვლით); (ბიომასალები შედის 2.9-ში [ცოცხალი მასალის ფიზიკური მახასიათებლები, როგორცაა სამედიცინო იმპლანტები, ხელსაწყოები, სენსორები])
2.2.7.	გარემოს შემსწავლელი ინჟინერია
	განმარტებითი შენიშვნები: გარემოს და გეოლოგიური ინჟინერია, გეოტექნიკა; ნავთობმრეწველობა (საწვავი), ენერჯია და საწვავი; დისტანციური ზონდირება; სამთო და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება; საზღვაო ინჟინერია, საზღვაო ხომალდები ; ოკეანის ინჟინერია
2.2.8.	ეკოლოგიური ბიოტექნოლოგია
	განმარტებითი შენიშვნები: გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგიები; ბიორემედიაცია, დიაგნოსტიკური ბიოტექნოლოგიები (დნმ ჩიპები და ბიოსენსორული მოწყობილობები) გარემოს მენეჯმენტში; გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგიების ეთიკა)
2.2.9.	სამრეწველო ბიოტექნოლოგია
	განმარტებითი შენიშვნები: -სამრეწველო ბიოტექნოლოგია; ბიოპროცესების ტექნოლოგიები (ინდუსტრიული პროცესები, რომელიც ეფუძნება ბიოლოგიურ აგენტებს პროცესის გასააქტიურებლად), ბიოკატალიზი, ფერმენტაცია; ბიოპროდუქტები (პროდუქტები, რომლებიც წარმოებულია ბიოლოგიური ნედლეულისაგან) ბიომასალები, ბიოპლასტიკები; ბიოსაწვავები, ბიოწარმოშობის მასალები და სუფთა ქიმიკატები, ბიოწარმოშობის ახალი მასალები
2.2.10.	ნანო-ტექნოლოგია
	განმარტებითი შენიშვნები: - ნანო-მასალები (პროდუქცია და მახასიათებლები); - ნანო-პროცესები; (ბიომასალები შედის 2.9-ში)
2.2.11.	სხვა საინჟინრო ტექნოლოგიები
	განმარტებითი შენიშვნები: -საკვები და სასმელი პროდუქტები; -სხვა საინჟინრო ტექნოლოგიები
2.3.	მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი
2.3.1.	ფუნდამენტური მედიცინა
	განმარტებითი შენიშვნები: ანატომია და მორფოლოგია (მემცენარეობა 1.6-ში); ადამიანის გენეტიკა; იმუნოლოგია; ნეირომეცნიერებანი ფსიქოფიზიოლოგიის ჩათვლით); ფარმაკოლოგია და ფარმაცია; სამედიცინო ქიმია; ტოქსიკოლოგია; ფიზიოლოგია (ციტოლოგიის ჩათვლით), პათოლოგია

2.3.2.	კლინიკური მედიცინა
	<p>განმარტებითი შენიშვნები: ანდროლოგია; მეანობა და გინეკოლოგია; პედიატრია; კარდიო და გულ- სისხლძარღვთა სისტემები, პერიფერიულ სისხლძარღვოვანი დაავადებები; პერიფერიული ვასკულარული დაავადებები; ჰემატოლოგია; რესპირატორული სისტემები; კრიტიკული და გადაუდებელი მედიცინა; ანესთეზიოლოგია; ორთოპედია; ქირურგია; რადიოლოგია, ბირთვული მედიცინა და სხივური თერაპია; ტრანსპლანტაცია; სტომატოლოგია, ყბასახის ქირურგია და მედიცინა; დერმატოლოგია და ვენეროლოგია; ალერგოლოგია; რევმატოლოგია; ენდოკრინოლოგია და ნივთიერებათა ცვლა (დიაბეტისა და ჰორმონების ჩათვლით); გასტროენტეროლოგია და ჰეპატოლოგია; უროლოგია და ნეფროლოგია; ონკოლოგია; ოფთალმოლოგია; ოტორინოლარინგოლოგია; ფსიქიატრია; კლინიკური ნევროლოგია; გერიატრია და გერონტოლოგია; ზოგადი და შინაგანი მედიცინა; სხვა კლინიკური მედიცინის დარგები; ინტეგრირებული და კომპლემენტალური მედიცინა (ალტერნატიული პრაქტიკული სისტემები)</p>
2.3.3.	ჯანმრთელობის მეცნიერებანი
	<p>განმარტებითი შენიშვნები: ჯანდაცვის მეცნიერებანი და სერვისები (მოიცავს ჰოსპიტალურ ადმინისტრირებას, ჯანდაცვის დაფინანსებას); ჯანდაცვის პოლიტიკა და სერვისები;</p> <ul style="list-style-type: none"> -ავადმყოფის მოვლა, კვება და დიეტეტიკა; -ჯანდაცვა და გარემოს ჰიგიენა; ტროპიკული მედიცინა; პარაზიტოლოგია; ინფექციური დაავადებები; ეპიდემიოლოგია; - ოკუპაციური ჯანმრთელობა (პროფესიული დაავადებები); სპორტი და ფიტნეს მეცნიერებანი; - სოციალური ბიოსამედიცინო მეცნიერებანი (მოიცავს ოჯახის დაგეგმვას, სექსუალურ ჯანმრთელობას, ფსიქო-ონკოლოგიას, ბიოსამედიცინო კვლევის პოლიტიკურ და სოციალურ ეფექტებს); სამედიცინო ეთიკა; ნარკომანია
2.3.4.	სამედიცინო ბიოტექნოლოგია
	<p>განმარტებითი შენიშვნები: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბიოტექნოლოგიები; უჯრედებზე, ქსოვილებისა და მთლიანი ორგანიზმზე ზემოქმედებაში (რეპროდუქციის ჩათვლით) ჩართული ტექნოლოგიები; დნმ-ის, ცილებისა და ფერმენტების იდენტიფიცირების პროცესში ჩართული ტექნოლოგიები და მათი ზემოქმედება დაავადების გამოვლინებაზე, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, გენური დიაგნოსტიკა და თერაპიული ინტერვენცია (ფარმაკოგენეტიკა, გენური თერაპია); ბიომასალები (ბიომპლანტები, ბიომოწყობილობები, ბიოსენსორები); ეთიკასთან დაკავშირებული სამედიცინო ბიოტექნოლოგიები</p>
2.3.5.	მედიცინის სხვა დარგები
	<p>განმარტებითი შენიშვნები: -სასამართლო მედიცინა - მედიცინის სხვა დარგები</p>
2.4.	აგრარული მეცნიერებანი
2.4.1.	სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა და მეთევზეობა
	<p>განმარტებითი შენიშვნები: სოფლის მეურნეობა; მეტყვეობა; მეთევზეობა; ნიადაგმცოდნეობა; მეზღვეობა; მევენახეობა; აგრონომია, მცენარეთა გამრავლება და დაცვა; (აგრარული ბიოტექნოლოგიები შედის 4.4-ში)</p>

2.4.2.	მეცხოველეობა და მერძევეობა
	განმარტებითი შენიშვნები: -მეცხოველეობა და რძის პროდუქტების მეცნიერებანი; (ვეტერინარული ბიოტექნოლოგიები შედის 4.4-ში) -სოფლის მეურნეობა; შინაური ცხოველები
2.4.3.	ვეტერინარული მეცნიერებანი
2.4.4.	სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიები
	განმარტებითი შენიშვნები: სასოფლო-სამეურნეო და კვების ბიოტექნოლოგიები; GM ტექნოლოგიები (სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მსხვილფეხა საქონელი); მსხვილფეხა საქონლის კლონირება, მარკირებული სელექცია, დიაგნოსტიკა (დნმ ჩიპები და ბიოსენსორული მოწყობილობები დაავადებების ადრეული /ზუსტი გამოვლენისათვის) სამრეწველო ნედლეულის ბიომასის წარმოების ტექნოლოგიები, ბიოფარმაცია; აგრარული ბიოტექნოლოგიების ეთიკა.
2.4.5.	სხვა აგრარული მეცნიერებანი
2.5.	სოციალური მეცნიერებანი
2.5.1.	ფსიქოლოგია
	განმარტებითი შენიშვნები: საინჟინრო ფსიქოლოგია; - ფსიქოლოგია, სპეციალური (მოიცავს თერაპიას სწავლის, მეტყველების, სმენის, ვიზუალური და სხვა ფიზიკური და მენტალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის).
2.5.2.	ეკონომიკა და ბიზნესი
	განმარტებითი შენიშვნები: ეკონომიკა, ეკონომეტრიკა; ინდუსტრიული ურთიერთობები; -ბიზნესი და მენეჯმენტი
2.5.3.	განათლების მეცნიერებანი
	განმარტებითი შენიშვნები: განათლება, ზოგადი; ტრენინგების, პედაგოგიკისა და დიდაქტიკის ჩათვლით; - განათლება, სპეციალური (განსაკუთრებული ნიჭის მქონე, სწავლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის)
2.5.4.	სოციოლოგია
	განმარტებითი შენიშვნები: - სოციოლოგია; დემოგრაფია; ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, - სოციოლოგიური თემატიკები (ქალთა და გენდერული კვლევები; სოციალური საკითხები; ოჯახის კვლევები. სოციალური სამუშაო)
2.5.5.	სამართალი
	განმარტებითი შენიშვნები: - სამართალი, კრიმინოლოგია, პენოლოგია (მეცნიერება დასჯაზე და სასჯელის აღსრულებაზე)
2.5.6.	პოლიტიკური მეცნიერებანი
	განმარტებითი შენიშვნები: - პოლიტიკური მეცნიერებანი; საჯარო მართვა; ორგანიზაციული თეორია

2.5.7.	სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფია
	განმარტებითი შენიშვნები: - გარემოს დაცვის მეცნიერებანი (სოციალური ასპექტები); კულტურული და ეკონომიკური გეოგრაფია; ურბანული კვლევა (დაგეგმვა და განვითარება); სატრანსპორტო დაგეგმვა და ტრანსპორტის სოციალური ასპექტები (სატრანსპორტო ინჟინერია 2.1-ში);
2.5.8.	მედია და კომუნიკაცია
	განმარტებითი შენიშვნები: - ჟურნალისტიკა; საინფორმაციო მეცნიერებანი (სოციალური ასპექტები); საბიბლიოთეკო მეცნიერება; მედია და სოციო-კულტურული კომუნიკაცია
2.5.9.	სხვა სოციალური მეცნიერებანი
	განმარტებითი შენიშვნები: - სოციალური მეცნიერებები, ინტერდისციპლინური; - სხვა სოციალური მეცნიერებები
2.6.	ჰუმანიტარული მეცნიერებანი
2.6.1.	ისტორია და არქეოლოგია
	განმარტებითი შენიშვნები: - ისტორია (მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ისტორია შედის 6.3, ცალკეული მეცნიერებების ისტორია კი შესაბამის ქვემომართულებებში); არქეოლოგია;
2.6.2.	ენები და ლიტერატურა
	განმარტებითი შენიშვნები: - ენების ზოგადი კვლევები; ცალკეული ენები; ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა; ლიტერატურის თეორია; ცალკეული ქვეყნების ლიტერატურა; ლინგვისტიკა;
2.6.3.	ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია
	განმარტებითი შენიშვნები: ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ისტორია და ფილოსოფია; -ეთიკა (გარდა ცალკეული ქვედარგების ეთიკისა); თეოლოგია; რელიგიათმცოდნეობა
2.6.4.	ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)
	განმარტებითი შენიშვნები: ხელოვნება, ხელოვნების ისტორია; არქიტექტურული დიზაინი; საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (მუსიკათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, დრამატურგია); ფოლკლორული კვლევები; კინომცოდნეობა, რადიო და ტელევიზია
2.6.5.	სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები

შენიშვნა:

1. თუ პროექტი მიეკუთვნება ევროსტატის კლასიფიკაციის შესაბამისად სამეცნიერო მიმართულებებიდან ერთ-ერთს (2.1-2.6), საპროექტო წინადადების შევსებისას განმცხადებელმა უნდა მიუთითოს შესაბამისი ქვემომართულება (მაგ. 2.1.1. მათემატიკა). ინტერდისციპლინარული პროექტის შემთხვევაში, საპროექტო წინადადების შევსებისას შესაძლებელია არაუმეტეს 3 ქვემომართულების მითითება; პირველი უნდა დასახელდეს ის ქვემომართულება, რომელსაც თქვენ ანიჭებთ უპირატესობას

2. თუ პროექტი მიეკუთვნება პირველ მიმართულებას „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი“ და თქვენ გსურთ მიიღოთ მონაწილეობა კონკურსში ამ კვლევის მიმართულებაში საპროექტო წინადადების შევსებისას უნდა მიუთითოთ პირველი მიმართულება („საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი“) და მეორე მიმართულების 6 სამეცნიერო მიმართულებაში (2.1 – 2.6) შემავალი არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 სამეცნიერო ქვემომართულება (მაგ. 2.1.1. მათემატიკა, 2.6.2 ენები და ლიტერატურა);